

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 15 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

- **ჩაუშ დრიზა ალბანეთის წინააღმდეგ (განაცხადი №10810/05)**

აპლიკანტი ჩაუშ დრიზა ალბანეთის მოქალაქეა, დაიბადა 1943 წელს და ცხოვრობს ფიერში (ალბანეთი). მის საქმეზე საბოლოო, ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდება და შესაბამისად, ის და მისი დაძმები ვერ იღებენ კუთვნილ კომპენსაციას, რომელიც 1947 წელს ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ უნდა გადასცემოდათ. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი) და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი) და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აპლიკანტის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება.

- **მარინოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №36103/04)**

აპლიკანტი გიორგი მარინოვი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1924 წელს და ცხოვრობს ბრესტოვიცაში (ბულგარეთი). კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლზე (საკუთრების დაცვა) და კონვენციის მე-13 მუხლზე დაყრდნობთ, განმცხადებელი ჩივის, რომ 1992 წლიდან 2001 წლამდე ის ვერ ახერხებდა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთით სარგებლობას, რომელიც მას 1970-იან წლებში ჩამოართვეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი) და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ აპლიკანტის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 1200 ევრო არამატერიალური, ხოლო 1500 ევრო ხარჯების ასანაზღაურებლად.

- ბეგუ რუმინეთის წინააღმდეგ (განაცხადი (20448/02))

აპლიკანტი იონ ბეგუ რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1975 წელს და ცხოვრობს კარაკალში (რუმინეთი). კრიმინალურ საქმეთა გამოძიების დეპარტამენტში ოფიცრის რანგში ყოფნისას, ის ეჭვმიტანილი იყო თაღლითობის ბრალდებით დაკავებული პირისაგან ფულის აღებაში. აპლიკანტი ჩიოდა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო, რის შედეგადაც ქრთამის აღების ბრალდების გამო მას ორი წლით პატიმრობა მიესაჯა.

კონვენციის მე-5 მუხლის II, III და IV ნაწილებზე დაყრდნობით (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), ის ჩივის, რომ მას არ ეცნობა მისი დაკავების მიზეზების შესახებ, რომ ის არ წარუდგინეს შესაბამის სასამართლოს, ან კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც განახორციელებდა მართლმსაჯულებას, რადგან წინასწარი დაკავების პერიოდში მისი საქმის განხილვას აწარმოებდა სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლე და ასევე, წინასწარი დაკავება იყო უკანონო და არაგონივრულად ხანგრძლივი.

კონვენციის მე-6 მუხლის I, II და III ნაწილებზე დაყრდნობით (სამართლიანი სასამართლო), განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე იყო უკანონო, კერძოდ მიუთითებდა სამხედრო სასამართლოზე და იმაზეც, რომ სამხედრო ტრიბუნალი არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რადგან ემორჩილებიან თავდაცვის სამინისტროს. ასევე, მის მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმცია, რადგან პრემიერ მინისტრმა პრეს-კონფერენციისას ისაუბრა „რუმინული პოლიციის დისციპლინაზე, პროკურატურის წარმომადგენლებმა იძულებით დაუნიშნეს სახაზინო ადვოკატი, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა ადვოკატის აყვანა სურდა.

აპლიკანტი მიუთითებს, რომ მის მიმართ ასევე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), როდესაც ქრთამის მიცემაში ეჭვმიტანილ პირთან შემდგარი მისი საუბრების მოსმენა მიმდინარეობდა.

აპლიკანტი მიუთითებს, რომ მის მიმართ ასევე დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა), რადგან სახლის ჩხრეკისას დალუქული ნივთები მას აღად დაუბრუნდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა). რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სახელმწიფოს დაეკისრა 5200 ევროს გადახდა არამატერიალური, ხოლო 1000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარავად აპლიკანტის სასარგებლოდ.

- **შანდროვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №15093/05)**

აპლიკანტი დიმიტრი შანდროვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1976 წელს და ცხოვრობს რადუნიში (რუსეთი). იგი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), რადგან არ მიეცა საშუალება დასწრებოდა მისი სააპელაციო საჩივრის განხილვას, რომლითაც ითხოვდა კომპენსაციის მიღებას იმ დაზიანებების გამო, რომელიც მას მიჰყენდა მძევლების გათავისუფლების გამო 2003 წლის მაისში.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

გაჭიანურებული საქმეები

- **გავრისი უნგრეთის წინააღმდეგ (განაცხადი №33723/06)**
- **კიოტელესი უნგრეთის წინააღმდეგ (განაცხადი №9271/07)**
- **ლასლო მოლნარი უნგრეთის წინააღმდეგ (განაცხადი №41063/07)**

სამივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.